მდგრადი საცხოვრისის დაარსების ინიციატივა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის

WooD Service Ltd, საქართველო.
MiTek Industries, აშშ

30.10.08. სამუშაო შეხვედრა, "თბილისი მარიოტი"

იძულებითი შიდა მიგრაცია საქართველოში
პრობლემები და მათი გადაჭრის გზები
სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები

ირაკლი მაჭარაშვილი

მწვანე ალტერნატივა

გამოყენებულია:

- თ. ტრიერი, მ. ტურაშვილი, 2007, ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველში 1981-2006, European Centre for Minotiry Issues.

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაცემები.

- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემები.

- მწვანე ალტერნატივას კვლევები.

იძულებითი შიდა მიგრაციის მიზეზები

- პოლიტიკური ;

- ინდუსტრიული განვითარების პროექტები;
(დიდი ჰესები, ინდუსტრიული დასახლებები და სხვ.)

- სტიქიური უბედურებები.

პოლიტიკური იძულებითი შიდა მიგრაცია XX და XXI საუკუნეში

- მთიანი რეგიონების მასობრივი რეპრესიები
- კოლექტივიზაცია მთიანი რეგიონებიდან დაბლობ რეგიონებში (მაგ. შირაქის ველზე) გადასახლება
- დეპორტაცია (1941 წ. ქვემო ქათლის გერმანული სოფლები; 1944 წ. ე.წ. "თურქი მესხები"; 1949 წ. პონტოელი ბერძნები აფხაზეთიდან - სულ 170 000 ადამიანი) და მათ ადგილას მცირემიწიანი რეგიონებიდან მოსახლეობის ჩასახლება
- აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან იძულებითი გადაადგილება ომის შედეგად

რეპრესიები და კოლექტივიზაცია

- 1941 - ქვემო ქართლის 12 ყოფილ გერმანულ სოფელში რაჭიდან, ლეჩხუმიდან და ზემო იმერეთიდან 2 390 კომლი დაასახლეს;
- 1944-45 - იმერეთიდან და ქართლიდან 5 500 კომლი დაასახლეს მესხეთში;
- 1946-50 - აფხაზეთში 4 200-ზე მეტი ოჯახი ჩაასახლეს სამეგრელოდან, იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან;
- 1941-1950 - მესხეთში, ქვემო ქართლსა და აფხაზეთში ჩაასახლეს დაახლოებით 60 000 ადამიანი;
- 1940 - გადაასახლეს ხევსურეთის თითქმის მთელი მოსახლეობა, ძირითადად შირაქსა და ქვემო ქართლში;
- 1921-1989 - ჯავისა და ახალგორის მთიანი რაიონების მოსახლეობა 34.7%-ით შემცირდა; დაიცალა 114 სოფელი.

აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან დევნილთა ჩასახლება (1989-1993)

ეკომიგრანტები

ეკოლოგიური მიგრანტები / ეკომიგრანტები - პირები, ვისაც სტიქიური უბედურების გამო მოუხდათ სახლ-კარის დატოვება

ეკომიგრაცია

<u>1987 წ. სტიქიურ უბედურება სვანეთში - დიდთოვლობა, ზვავები</u>

- ზვავში მოჰყვა 2000 სახლი; დაიღუპა 85 ადამიანი; ევაკუირებული იქნა 16 000 ადამიანი.
- ხელისუფლებამ გამოყო 300 მილიონი რუბლი
- კერძო პირთა, კომპანიათა და ორგანიზაციათა შემოწირულობები - 74 მილიონი რუბლი.
- დაიგეგმა 5700 სახლის აშენება.
- დაახლოებით 2500 ოჯახი საცხოვრებლად გადანაწილდა მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, საგარეჯოს, გარდაბნის, დმანისის, კასპის, წყალტუბოს, ხონის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებში

ეკომიგრაცია

1989 წ. სტიქიურ უბედურება მთიან აჭარაში (ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების სოფლებში) – მეწყერი

- დაზარალდა 5 657 ოჯახი (24 287 ადამიანი)
- განსახლების ადგილები: ბღვისპირა აჭარა, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთისა და ჯავახეთის რეგიონებში.

მერაბ კოსტავას ფონდი

- 1989-91 წლებში მობილიზებული იქნა 35 მილიონი რუბლი
- სამიზნე ჯგუფები: ხელმოკლე ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, ეკომიგანტები
- შეძენილ იქნა: 800 სახლი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მსხვილფეხა პირუტყვი.
- მათ შორის: ჯავახეთში – ნინოწმინდის რაიონი 258 სახლი (ეკომიგრანტები აჭარიდან);
- აფხაზეთში და ქვემო ქართლში– ეკომიგრანტები სვნეთიდან

წყარო: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წლიური ანგარიში (2006)

- 1981 წლიდან განსახლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 11 000 ოჯახი გადაასახლეს (დაახლოებით 60 000 ადამიანი)
- მცირემიწიანობის გამო მიგრანტთა დაუდგენელი რაოდენობა, ძირითადად აჭარიდან, დამოუკიდებლად გადასახლდა საქართველოს სხვა მხარეებში.
- 1980-იანებში და 1990-იანი წლების დასაწყისში ეკომიგრანტთა მიმღები ძირითადი რეგიონები - კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, გურია, სამცხე და ჯავახეთი.
- 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მიგრანტთა ძირითადი მიმღები გახდა ქვემო ქართლი.

წყარო: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წლიური ანგარიში (2006)

- 1980-იანი წლების დასაწყისიდან სახელმწიფო პროგრამებით განისაზღვრა საქართველოს 17 რაიონში 55 ახალი სოფლის აშენება.
- უნდა აშენებულიყო 5094 სახლი, ფაქტობრივად აშენდა 3090; მათგან 2723 სახლი დასახლებულია, დარჩენილი 367 შენობა ცარიელია.
- 280 დაგეგმილი სახლის მშენებლობა საერთოდ არ დაწყებულა, ხოლო 1724 სახლი დაუსრულებელი დარჩა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონიტორინგის მონაცემები

- 1987 წლიდან 4 284 ოჯახს უნდა მიეღო ახალი სახლი
- რეალურად: დაბინავდა 2 880 ოჯახი; აშენდა 3 090 სახლი.
- სახლების დაუსრულებლობის გამო ვერ დაკმაყოფილდა 1 155 ოჯახი

ჩასახლებულთა პრობლემები და მათი მიზეზები

- არასახარბიელო გარემო (ბუნებრივი) პირობები;
- კონფლიქტები პოლიტიკურ, ეთნიკურ და სოციალურ ნიადაგზე;
- საკუთრების უფლებები გაურკვეველია;
- რთული ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა;
- მიწის და ტყის რესურსების არ არის ხელმისაწვდომი / საკმარისი;
- სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტი;
- უგზოობა;
- ენერგომომარაგების პრობლემები;
- სამკურნალო და სასწავლო დაწესებულები არ არის ხელმისაწვდომი;
- ცუდი საცხოვრებელი პირობები.

საცხოვრებელი პირობები

- სახლები დაუსრულებელია;
- სახლები ერთგვაროვანი და მოუხერხებელია;
- დიზაინის გამო შეუძლებელია გათბობა;
- მწირი შემოსავლის პირობებში შეუძლებელია სახლების შეკეთება/საცხოვებელი პირობების გაუმჯობესება

სოფ. დისველი, ბოლნისის რაიონი

დისველი

ლემშვენიერა

ხატისოფელი

ДОМ ГОД 1955

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საინფორმაციო ბაზა

ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაზარალებული და სასწრაფო გადასახლების აუცილებლობის წინაშე მდგარი ოჯახები

კატეგორიები:

- I. სტიქიური უბედურების შედეგად სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია;
- II. სტიქიური უბედურების შედეგად სახლი დაზიანებულია, საცხოვრებლად გამოუსადეგარია და აღდგენას არ ექვემდებარება;
- III. სტიქიური უბედურების შედეგად სახლი დაზიანებულია, მაგრამ აღდგენას ექვემდებარება;
- IV. სახლი დაუზიანებელია, მაგრამ სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთი განადგურებული და გამოყენებისათვის უვარგისია.

დაზიანებული სახლები კატეგორიების მიხედვით

რეგიონები	I კატ.	II კატ.	III კატ.	IV კატ.	სულ
სამცხე-ჯავახეთი	678	52	1,226	8	1,964
მცხეთა-მთიანეთი	85	84	467	132	765
გურია	308	359	995	895	2,554

იმერეთი	1,203	2,629	8,506	666	13,004
სამეგრელო-ზემო სვანეთი	305	739	1,341	678	3,066
რაჭა-ლეჩხუმი	316	544	999	922	2,781
კახეთი	123	59	557	160	899
შიდა ქართლი	798	614	1,279	67	2,758
ქვემო ქართლი	32	11	236	0	279
აჭარა	189	469	558	2,052	3,268
სულ	4,037	5,560	16,164	5,580	31,341

პირველწყარო: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის ანგარიში

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

- ბოლო 30 წლის მანძილზე სხვადასხვა ხარისხის სტიქიური პროცესების საშიშროების რისკის ქვეშ მოექცა 3 ათასამდე დასახლებული პუნქტი, დაახლოებით 400 000 ოჯახი
- ყოველწლიურად ქვეყნის ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალი – საშუალოდ 100-150 მლნ აშშ დოლარი
- 2004 წელი- ზარალი 300 მლნ აშშ დოლარი

სტიქიური პროცესების ხელშემწყობი ანთროპოგენული ფაქტორები

- არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა
- უსისტემო ურბანიზაცია
- წიაღის მოპოვება
- ტყის ჭარბი ჭრა

პრობლემები !!!

- საშენი მასალების დეფიციტი
- ხე-ტყის და ქვიშა-ხრეშის მარაგები ლიმიტირებულია
- ბუნებრივი რესურსების მოპოვება ხდება მარაგის შეფასების გარეშე
- არ ტარდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება



გმადლობთ
ყურადღებისათვის